სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/100

ქ. თბილისი 16 მაისი 2019

ვილჰელმ ჰაუზერისათვის სტუ-ის საპატიო დოქტორის ხარისხის

მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის, და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და გერმანიის ზაარბრიუკენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, ქართველი სტუდენტების სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერისთვის, ზაარბრიუკენის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორ ვილჰელმ ჰაუზერს მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**